



ბრძოლის სადა

მოკლემთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე.

Directeur C. Gvardjaladzé.

L'ALLIANCE GERMANO-RUSSE

L'objet principal de préoccupation des démocraties en ce moment est d'assurer, dans la paix internationale, la marche normale de l'évolution politique et sociale de l'Humanité. La Paix durable et inébranlable constitue la condition fondamentale de son existence.

Contre ce drapeau commun et humain luttent deux Etats : l'Allemagne et la Russie.

La première grande guerre a été déclanchée par l'Allemagne avec l'aide de l'Autriche-Hongrie. La deuxième grande guerre par la même Allemagne avec l'aide de la Russie. Le régime a changé, non point le drapeau d'agression brutale.

La politique extérieure de l'un et de l'autre de ces Etats est le prolongement de leur politique intérieure, qui consiste à subjuguier tous les peuples libres et leur imposer leur tyrannie, leur domination. Les deux régimes — naziste et bolcheviste — au fond sont identiques, leurs doctrines, leurs méthode et moyens de gouvernements sont les mêmes.

L'alliance de Berlin et de Moscou, cette prise de position dans un et même camp, est donc toute naturelle. Toute cette propagande, antikomintern et antinaziste n'était qu'un bluff évident, un paravent servant à dissimuler leurs aspirations impérialistes.

Ces aspirations, Staline les a mises à jour le premier, Hitler le suit fidèlement.

Le pouvoir soviétique détruisit l'Ukraine en 1919, en 1920 il attaqua la Pologne mais fut battu, et puis à tour de rôle il abattit le Caucase du Nord, l'Aserbeidjan, l'Arménie, et en 1921 il


se jeta sur la Géorgie et s'empara d'elle après six semaines de batailles sanglantes.

Hitler agit de même : il a conquis l'Autriche, puis la Tchécoslovaquie, maintenant il a, avec la Russie, envahie la Pologne, qu'ils ont conquis et qu'ils ont partagée. Cet acte de perfidie, cette honteuse répétition de la politique antipolonaise des rois du xviii^e siècle, politique de partage de Pologne plusieurs fois perpétré par eux, mettent en évidence les aspirations sauvages de Staline et de Hitler, la divinisation du poing au mépris du droit et de l'humanité. Le bolchevisme et le nazisme se sont complètement dénudés, se sont entièrement détachés de la civilisation contemporaine et se sont engouffrés dans l'abîme du moyen-âge.

Deux camps se sont formés. La lutte décisive est déclanchée. L'esclavage ou la liberté, la mort ou la vie, voilà le dilemne qui se pose aujourd'hui devant la démocratie du monde. Dans cette lutte universelle la neutralité est inadmissible. La victoire des agresseurs signifie l'esclavage pour tous ceux qui s'écartent de la lutte d'aujourd'hui, la mise des peuples libres dans la situation actuelle de la Pologne et de la Géorgie. Tous les partisans de la liberté doivent prendre place dans le camp anti-bolcheviste et anti-naziste, et s'engager avec ardeur dans la lutte pour l'effondrement final de ces fléaux. Sur leur ruine doivent renaître les peuples subjugués par eux, et la paix et la justice internationales doivent être établies une fois pour toutes.

BUREAU A L'ÉTRANGER DU PARTI SOCIAL-DÉMOCRATE DE GÉORGIE.

Paris, Septembre 1939.



LA TRAGÉDIE DE LA POLOGNE

Quelque chose d'inimaginable vient d'être accompli : au xx^e siècle se répète l'histoire du xviii^e, l'invasion de la Pologne libre, sa conquête et son dépècement.

Cet acte barbare de Hitler et de Staline émeut la conscience universelle et fait appel à tous les combattants pour la liberté de resserrer leur rang contre cette violence et cette brutalité.

La Pologne libre a toujours été l'objet de la revendication et de la lutte de la société avancée de toute l'Europe ainsi que de l'internationale socialiste. Elle était et demeura le symbole de la liberté des peuples opprimés qui ont défendu la Pologne déchirée et persécutée, qui l'ont chantée et revendiqué sa résurrection.

Après un siècle de souffrance et de lutte ce flambeau ressuscita, projeta sa lumière sur le monde, ranima les peuples opprimés et ralluma les espoirs dans leurs cœurs.

Et voilà maintenant les tyrans contemporains qui viennent de lui porter un coup, d'éteindre cette lumière et de rejeter tout le pays dans les ténèbres du moyen-âge.

La représentation du Parti S. D. géorgien à l'étranger profondément indignée par cet acte de barbarie exprime sa foi inébranlable que la Pologne renaîtra et illuminera encore le monde. Elle forme le vœu que cette renaissance soit définitive, éternelle, et que les bourreaux historiques de la Nation polonaise soient réduits à jamais à l'impuissance.

BUREAU A L'ÉTRANGER DU PARTI SOCIAL DÉMOCRATE DE GÉORGIE.

Paris, Septembre 1939.

DÉCLARATION

M. Noé JORDANIA, Président de la République Géorgienn, a reçu de M. le Professeur Albert MALCHE, Président du Comité international pour la Géorgie, à Genève, la déclaration suivante :

Le Comité international pour la Géorgie, profondément ému d'avoir dû assister à l'envahissement de la Pologne en violation des pactes de non-agression au bénéfice desquels elle se trouvait,

rappelant le sort analogue de la Géorgie lorsque les mêmes armées soviétiques l'écrasèrent en pleine paix, malgré six semaines d'héroïque résistance, au début de 1921,

gardant à la Pologne la plus vive recon-

naissance pour avoir accueilli alors un grand nombre de réfugiés géorgiens,

adresse à son peuple martyr l'expression de sa sympathie et de son admiration,

et, tourné vers l'avenir, attend l'heure du droit imprescriptible à l'existence et à la liberté dont toute nation est assurée tant qu'elle persiste à le revendiquer.

A ce propos, le Comité international pour la Géorgie constate que, depuis dix-huit années, cette nation indomptée réclame les droits qui lui ont été solennellement reconnus par les traités ; ces droits resteront, jusqu'à ce que justice lui soit rendue, aussi intacts et aussi valables qu'aux premier jour.

Genève, le 3 Octobre 1939.

გ ე რ ლ ი ნ ე - მ ო ს კ ო მ ი ს ი ს კ ა ვ შ ი რ ი

მსოფლიო დემოკრატიის მთავარი სახრუნავია ამ სანათ უზრუნველყოს კაცობრიობის პოლიტიკური და სოციალური ევოლუცია ნორმალური მსვლელობით საერთაშორისო მშვიდობიანობის ფარგლებში. ხანგრძლივი, ურყევი ზავი მისი არსებობის მთავარი პირობაა.

ამ საერთო, საკაცობრიო დროშას ებრძვის ორი სახელმწიფო: გერმანია და რუსეთი.

პირველი დიდი ომი გამოიწვია გერმანიამ ავსტრო-ვენეტიის დახმარებით; მეორე დიდი ომი გამოიწვია იმავე გერმანიამ რუსეთის დახმარებით. რეჟიმი შეიცვალა, ძალმომრეობის დროშა დარჩა უცვლელი.

ორივე ამ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა არის გაგრძელება მათი საშინაო პოლიტიკის—დაი-მორჩილონ ყველა თავისუფალი ხალხნი და მათზე გაავრცელონ თავისი ტირანია, თავისი დომინაცია. მათი ორივე რეჟიმი—ნაზისტური და ბლშევიკური—არსებითად ერთი და იგივეა, მათი დოქტრინა, მათი მართვის მეთოდი და საშუალებანი ერთიმეორის განმეორებაა. ამიტომ მოსკოვ-ბერლინის კავშირი, მათი ერთ ბანაკში ჩადგომა სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. მთელი ეს ანტიკომინტერნული და ანტინაზისტური პროპაგანდა წარმოადგენდა აშკარა ბლეფს, საფარს მათი იმპერიალისტური სულისკვეთების დასაფარავათ.



ეს სულისკვეთება პირველათ ნათელყო სტალინმა, რომელსაც ახლა ასე პირწმინდათ ბაძავს ჰიტლერი. საბჭოთა ხელისუფლებამ 1919 წ. მოსპო თავისუფალი უკრაინა, 1920 წ. თავს დაესხა პოლონეთს, მაგრამ დამარცხდა. რიგ-რიგობით დაიპყრო ჩრდილოეთ კავკასია, ადერბაიჯანი, სომხეთი და 1921 წ. თავს დაესხა პატარა საქართველოს და ხუთი კვირის სისხლის მღვრელ ბრძოლების შემდეგ დაიპყრო იგი.

ასევე მოიმოქმედა ჰიტლერმა: დაიპყრო ავსტრია, შემდეგ ჩეხოსლოვაკია, ხოლო ახლა თავს დაესხა მოსკოვთან ერთად პოლონეთს, დაიპყრეს და გაინაწილეს ის. ეს აღსაშფოთებელი ვერაგობა, ეს სამარცხვინო განმეორება მეფერამეტე საუკუნის მეფეთა ანტიპოლონური პოლიტიკა, მათ მიერ მრავალჯერ პოლონეთის დაყოფისა, ააშკარავებენ სტალინ-ჰიტლერის ბარბაროსულ სულისკვეთებას, უფლების და ადამიანობის ალაგას მუშტის გაღმერთებას. ბოლშევიზმი და ნაზიზმი საბოლოოდ გატი-

ვლდენ, თანამედროვე ცივილიზაციას სავსებით მოწყდენ და საშუალო საუკუნეების უფსკრულში სამუდამოდ გადაეშვენი.

ორი ბანაკი ჩამოყალიბებულია, მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაწყებულია: მონობა თუ თავისუფლება, სიკვდილი თუ სიცოცხლე—აი რა დილემა დგას დღეს გადასაჭრელათ მსოფლიოს დემოკრატიის წინაშე. ამ საკაცობრიო ბრძოლაში ნეიტრალობა დაუშვებელია; გამარჯვება მონობის მოციქულთა ნიშნავს დღეს განდგომილთა ხვალ დამონებას, ყველა თავისუფალი ერის პოლონეთის და საქართველოს მდგომარეობაში ხვალ ჩაყენებას. თავისუფლების ყველა მედროვე ვალდებულია ჩადგენ სიტყვით და საქმით ანტიბოლშევიკურ და ანტინაზისტურ ბანაკში და მიიღონ მსურველ მონაწილეობა მის ძირბუდიანათ აღმოფხვრაში. მათ ნანგრევზე უნდა აღდგეს მათ მიერ დაპყრობილი ერები და ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს საერთაშორისო მშვიდობიანობა და სამართლიანობა.

საქართველს სოციალ-დემოკრატიული
ქუშათა პარტიის სახლგარგარეთელი ბიურო.

პარიზი, სექტემბერი 1939 წ.

პ ო ლ ო ნ ე თ ი ს ბ რ ა ლ ე ლ ი ა

მონდა წარმოუდგენელი, მეოცე საუკუნეში განმეორდა მეფერამეტე საუკუნის მეფეთა შესევა თავისუფალ პოლონეთში, მისი დაპყრობა და გაყოფა. ჰიტლერ-სტალინის ეს ბარბაროსული აქტი სამართლიანათ აღშფოთებს მსოფლიო სენიდის და მოუწოდებს თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს დაირაზმოს ამ ძალმომრეობის წინააღმდეგ.

თავისუფალი პოლონეთი მუდამ შეადგენდა მოთხოვნების და ბრძოლის საგანს როგორც სოცინტერნაციონალის, ისე მთელი ევროპის მოწინავე საზოგადოებისა; ის იყო და არის სიმბოლო ყველა ჩაგრულ ერთა თავისუფლებისა; ყველა დევნილი და ტანჯული პოლონეთს იცავდა, პოლონეთს უკალობდა, მის აღდგომას თხოულობდა. ერთი სა-

უკუნის ტანჯვის და ბრძოლის შემდეგ ეს ჩირადანი აღდგა, საქვეყნოდ გაანათა, ყველა ჩაგრული ერნი გაამხნევა და გულს იმედი ჩაუსახა.

და აი ახლა, თანამედროვე ტირანებმა მას ისევ ლახვარი ჩასცეს, ეს აღზნებული ლამპარი გააქრეს და საშუალო საუკუნურ სიბნელეში ჩააბრუნეს.

საქართველოს სოც.-დემოკ. პარტიის სახლგარგარეთელი წარმომადგენლობა გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ამ ვერაგობის წინააღმდეგ და აცხადებს თავის ურყევ რწმენას: პოლონეთი აღდგება და კვლავ გაანათებს. ის გამოსთქვამს სურვილს, რომ ეს აღდგომა გახდეს მუდმივი, სამარადისო, ხოლო მისი ისტორიული ჯალათნი სამუდამოდ აღებულნი.

საქართველს სოციალ-დემოკრატიული
ქუშათა პარტიის სახლგარგარეთელი ბიურო.

პარიზი, სექტემბერი 1939 წ.

დ ე მ ო ლ ა რ ა ც ი ა

საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე ნ. ყორდანიამ მიიღო ინტერნაციონალური კომიტეტის საქართველოსათვის ეწენევაში თავმჯდომარე პროფესორ ალბერტ მალშისაგან შემდეგი დეკლარაცია:


«ინტერნაციონალური კომიტეტი საქართველოსათვის ღრმად აღლევებულია იმით, რომ მიუხედავად თავდაუსხმელობის ყველა პაქტებისა—ის მოწამე განდა პოლონეთის ასეთი უსამართლო დაპყრობის.

ინტერნაციონალური კომიტეტი მოაგონებს ყველას ანალოგიურ ბედს საქართველოსა, რომელიც მიუხედავად ნ კვირის გმირული წინააღმდეგობისა—ასე უდანაშაულოდ გასრისეს, 1921 წლის დასაწყისში, რუსეთის საბჭოთა ჯარებმა.

ინტერნაციონალური კომიტეტი გამოსთქვამს

თავის უღრმეს მადლობას პოლონეთისადმი, რომელმაც შეიფარა ქართველ ემიგრანტთა დიდი რიცხვი. კომიტეტი უძღვნის თავის წრფელ სიმპატიებს და აღტაცებას მთელ პოლონეთის ერს და დარწმუნებულია რომ ახლო მომავალში აღდგენილი იქნება მისი უფლებები.

რაც შეეხება საქართველოს—ინტერნაციონალური კომიტეტი აცხადებს რომ ეს ერი, რომელიც 18 წელიწადია ასე თავგამოდებით ითხოვს და იბრძვის თავის უფლებებისათვის, რომელიც საქვეყნოდ იყო ცნობილი სხვადასხვა ხელშეკრულებებით, რომელთაც დრო ვერ დაუკარგავს ღირებულებას, რომლებიც რჩებიან ხელუხლებელი და იმავე ღირებულების, როგორც იყვნენ მათი დადების პირველ დღეებში—აღდგენილ უნდა იქნეს სავსებით საერთაშორისო სამართლიანობის მიერ.



პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ ა ნ ღ ი ტ ი ზ მ ი

1939 წლის პირველი სექტემბერი ამიერიდან ხდება დატათ, რომელიც შევა ისტორიაში, როგორც დღე მეორე დიდი იმპერიალისტური ომის დაწყებისა და კაცობრიობის თავზე უდიდესი უბედურების დატყდომისა. ცხადია, ამ უბედურებას მოყვება ადამიანთა საშინელი ხოცვა-ყლეტა, სისხლის და ცრემლის მდინარეებით დაღვრა და ასეული წლების განმავლობაში ნაშენებ და შექმნილ კულტურულ დოვლათთა განადგურება.

ეს ტრაედია პირველად თავს დაატყდა პოლონეთის ერს, რომელსაც მისი ისტორიის გასწვრივ არაერთხელ უგრძენია ბარბაროსულ შემოსევათა სიმწვავე, მაგრამ დაბოლოს ის ყოველთვის ყოველივე გასაჭირისაგან გამარჯვებული გამოსულია. და ეჭვი არ არის, რომ ერთი, რომელიც გუშინ აწარმოებდა ასეთ ლეგენდარულ და გმირულ ბრძოლას ამ გაჭირვებებიდანაც გამარჯვებული გამოვა.

დღევანდელი მდგომარეობა უთუოდ შედეგია რუსეთ-გერმანიის შორის დადებულ პაქტისა. ჰიტლერმა მიიღო რა გარანტია სტალინისაგან, რომ აღმოსავლეთით—რუსეთის მხრივ—გერმანიის ფრონტი უზრუნველყოფილი იქნებოდა და მას იქ მხოლოდ პოლონეთთან ექნებოდა საქმე, აღარ მოერიდა საფრანგეთთან და ინგლისთან ომის რისკს. მეტად საშიშარ პირობებში მყოფი გერმანია მოსკოვმა წაათამაშა და მით მან მთელი კაცობრიობის წინაშე უდიდესი დანაშაული ჩაიდინა.

რუსეთ-გერმანიის პაქტი ბევრისათვის მოულოდნელი და გასაკვირი შეიქნა. ზოგზე შთაბეჭდილებას ახდენდა ის, რომ კრემლის მესვეურნი და მთელი საბჭოთა პრესა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ ზავის შენარჩუნებაზე, აგრესიულ სახელმწიფოების ალაგმვაზე და მათ წინააღმდეგ ერთი ფრონტის შექმნაზე.

მეორეს მხრივ ჰიტლერი ხომ ანტიკომინტერნული ფრონტის და პაქტის ავტორია. ჰიტლერი მუდამ ამბობდა, რომ რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელნი სისხლით გასვრილი დამნაშავენი არიან, მათთან კავშირი და ერთად საქმიანობა შეუძლებელია და მათ წინააღმდეგ მას, ვითომც, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჰქონდა გამოცხადებული.

და ეს ორი, ვითომც, ასე დაპირდაპირებული და ერთი მეორის მოწინააღმდეგე მხარე ერთი მეორეს დაუმეგობრდა და დაუკავშირდა.

ასეთი დაახლოვების და დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ ჩვენი პარტიის აზრი არაერთხელ გამოთქმულა ჩვენ გაზეთში, თუ ინტერნაციონალის კრებებზე. ჩვენ სწორედ ვაცხადებდით, რომ სტალინს ზავი მხოლოდ საბჭოთა რუსეთისათვის უნდოდა, მაგრამ ამავე დროს კი ის ცდილობდა დასავლეთ ევროპას ომის ცეცხლი მოდებოდა და, როცა ამ ცეცხლში ყველანი ამოიბუგებოდნენ, შემდეგ მას ამით ესარგებლა; სტალინმა დახოცა გენერლები ტუხაჩევსკის მეთაურობით არა მიტომ, რომ მას

მათი გერმანოფილობა არ მოსწონდა, არამედ მიტომ, რომ ამ გენერლებს გერმანიასთან დაკავშირება უსტალინოთ და მის გარეშე უნდოდათ; ბოლშევიკების იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით საბჭოთა რუსეთში აგორებულია ტალღა აღივრთა წახსნილ ნაციონალიზმ-შოვინიზმისა, ბოლშევიკურ და ევროპის ტოტალიტალურ ქვეყნების რეჟიმის შორის განსხვავება აღარ არსებობს და მათი ერთმანეთთან დაკავშირებით თავისუფალ, თუ ჩაგრულ ერებს დიდი საშიშროება მოელის.

ჩვენ სწორად უსვამდით აგრეთვე ხაზს იმას, რომ ანტიკომინტერნული პაქტი უმთავრესად მიმართული იყო ევროპის დემოკრატიის წინააღმდეგ, რომ დღევანდელი გერმანია არა რუსეთის დანაწილებაზე და იქ მომწყვდეულ ჩაგრულ ერების განთავისუფლებაზე ზრუნავდა, არამედ მის ინტერესებში უფრო შედიოდა დიდ რუსეთთან კავშირი და მასთან ერთად სხვების წინააღმდეგ მოქმედება.


თუ საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ერების ზოგ შეილებს წინეთ ჰქონდათ რაიმე ილლიუზია, რომ მათ ქვეყანათა განთავისუფლებას ხელს შეუწყობდა გერმანია, ესლა რუსეთ-გერმანიის კავშირით მათი ილლიუზია სავსებით იმსხვრევა.

რუსეთ-გერმანიის დაკავშირება და მათ შორის ხელშეკრულების დადება მოხდა ისეთი არაჩვეულებრივი ფორმით, რომ ამან საერთო აღშფოთება გამოიწვია.

როცა ინგლის-საფრანგეთი ლოიალურად და დაუფარავად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას რუსეთთან, მოსკოვი მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩუმად და ფარულად ბერლინს ევაჭრებოდა. ინგლის-საფრანგეთთან საბჭოთა რუსეთის მთელი მოლაპარაკება იყო მანიფრები და დროს მოგება, რომ გერმანიასზე შთაბეჭდილება და გავლენა მოეხდინა და ამ ვაჭრობის დროს ჰიტლერისაგან, რაც შეიძლება, უკეთესი პირობები მიეღო.

კრემლის ბატონებმა ყველაფერი ჰქნეს იმისათვის, რომ გერმანიის წინააღმდეგ დასავლეთის ქვეყნები წაექეზებიათ. ამასთანავე მოსკოვის ინსტრუქციებით კომუნისტური პარტიები ევროპაში ჰქმნიდნენ ისეთ საომარ ფსიხოლოგიას, რომელსაც უკან დასახვევი შესაძლებლობა აღარ ექნებოდა. და იმ მომენტში, როცა ევროპა განიცდიდა უდიდეს პოლიტიკურ კრიზისს, როცა საჭირო იყო აგრესორს ეგროძო მთელი რისკი მისი მოქმედებისა რათა ის საბედისწერო და კატასტროფით სავსე ნაბიჯისაგან შეჩერებულიყო, სწორედ ამ დროს მოსკოვი ბერლინს პაქტით შეეკრა, ის გაამხნევა, მას გამარჯვების იმედი მისცა და საომარ ცეცხლის დასანთებათ გამოიწვია.

გასაგებია, რომ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, გარდა სტალინის ხარჯზე მყოფ ზოგ კომუნისტურ დაჯგუფებებისა, ბოლშევიკების საქციელს და მათ მიერ ნახმა მეთოდს ზიზღით შეხვ-



დენ და მას ცინიკურს და განგსტერულს უწოდებენ.

რუსეთ-გერმანიის პაქტმა ვერ დააშინა ინგლისი და საფრანგეთი და ვერ მიატოვებინა მათ პოლონეთი: არა თუ არ დაშინდა პოლონეთიც და მან არ წამოიჩიოა მესამე რაიხის წინაშე, არამედ მან მის წინააღმდეგ განსაცვიფრებელი გამირობით ბრძოლა აწარმოვა.

მოსკოვ-ბერლინის 24 აგვისტოს პაქტი საბჭოთა რუსეთის ნეიტრალიტეტს ლაპარაკობდა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა პოლონელი ჯარები გერმანელებს მამაცურად უმკლავდებოდნენ და მათ თვალსაჩინო წარაღს აყენებდნენ, საბჭოთა ჯარები პოლონეთში შეიჭრნენ, პოლონეთის ერს უკანდინდანი ჩასცეს და მალე მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიკავეს. 17 სექტემბრის ამ სამარცხვინო აქტით რუსეთმა გერმანიას საშუალება მისცა მთავარი მისი სამხედრო ძალები დასავლეთით—საფრანგეთ-ინგლისის წინააღმდეგ გადმოეყვანა.

28 სექტემბერს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი—რიბენტროპი მეორეჯერ ესტუმრა სტალინს და მასთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ორი დიქტატორი მგზავსად ძველი პრუსიის და რუსეთის მეფეებისა პოლონეთს მეოთხეჯერ იყოფენ და მომავალშიდაც ერთმანეთს დახმარებას პირდებიან. ამ ხელშეკრულების ძალითვე რუსეთს ხელი გაეხსნა თავისუფლად იმოქმედოს ბალტიის ქვეყნებში, რომელთაც უკვე რუსი ჯარები ოკუპაციას და ანექსიას უხდენენ. ბალტიის ზღვაზე მოპოვებული სტრატეგიული ადგილების საშუალებით რუსეთი დღეს ემუქრება შვეციას და ფინლიანდიასაც. ამავე დროს სტალინ-პიტლერის აცხადებენ, რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბედი მხოლოდ რუსეთ-გერმანიისაგან არის დამოკიდებული და სხვებს იქ საქმე არ აქვთ.

ესლა, ალბათ, ის ბრმანიცი გაახელენ თვალებს, რომელთაც წინეთ არ სჯეროდათ, რომ კოლექტიურ უზრუნველყოფაზე და აგრესორის წინააღმდეგ ურთიერთ დახმარებაზე ბოლშევიკების ამდენი ლაპარაკი მხოლოდ სხვისი თვლების ასახვევი და მოსკოვის იმპერიალისტური ზრახვების დასაფარავი ცინიკური ლაყბობა იყო.

სიტყვის გატეხა, ხელშეკრულების დარღვევა, მოტყუილება, ლალატი, თაღლითობა და ორპირობა მუდამ იყო ჩვეულებრივი იარაღი ბოლშევიკების მოქმედებისა. ასეთ მეთოდებს მიმართავდნენ ისინი ყოველთვის, როცა იპყრობდნენ საქართველოს, თუ დღეს საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ სხვა ჩაგრულ ერებს. მაგრამ ამავე მეთოდების, ამ პოლიტიკური ბანდიტიზმის შუაგულ ევროპაში შემოტანით კი მათ ნამდვილ ვინაობას ესლა სავესებით და საყოველთაოდ ფარდა ეხდება და მთელი მათი იმპერიალისტური სულისკვეთება ყველასათვის ნათელი ხდება.

კ. გვარჯალაძე.

წმირილი საქართველოდან

ესარგებლობ შემთხვევით და გაწვდით ამ მოკლე ცნობას. თქვენ ალბათ გააკვირვათ გერმანია-რუსეთის კავშირმა, რომელიც გამოქვეყნდა ეს რამოდენიმე დღეა. აქ კი ის ბომბასავით გაგარდა. არავინ არ ელოდა. კომუნისტურ წრეებში უცებ გამეფდა დიდი დაბნეულობა, არ იციან რა თქვან, რა აზრი შეადგინონ. ალბათ ჩქარა მოუვით მოსკოვიდან დირექტივები. სამაგიეროთ ბევრი მათგანი, მაღალი პასუხისმგებელი პირებიც ჩუმჩუმად ალაპარაკდნენ. ზოგი საიდუმლოებანი გაგვაგებინეს. ერთ ამათგანს აქვს პირდაპირი კავშირი გამოქვეყნებულ ხელშეკრულებასან და ამიტომ ვიჩქარი გამცნოთ. წყარო სრულიად სარწმუნოა და სანდო. აი ეს ცნობა:

მას შემდეგ რაც საბჭოთა მთავრობა შევიდა ერთა ლიგაში, ის აწარმოებდა ორმაგ საგარეო პოლიტიკას: ერთი იყო ერთა ლიგის და დემოკრატიული სახელმწიფოების ხაზით, რასაც მეთაურობდა ლიტვინოვი. ეს მუშაობა ხდებოდა აშკარათ და ლიათ. მეორე მუშაობა მიმდინარეობდა სრულიად საიდუმლოთ და მიიშობებოდა გერმანიასან დაახლოვების და მორიგებისაკენ. ამას მეთაურობდა თვითონ სტალინი სამხედრო პირების საშუალებით. ამ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მოსკოვის მხრით სამხედრო შტაბი ტუხახევსკის მეთაურობით, ხოლო გერმანიის მხრით იქაური სამხედრო შტაბის ხელმძღვანელნი. ხოლო სტალინმა ამ საქმეს მიუყენა ერთი თავისი კაცი, ქართველი, კანდელაკი, რომელიც იყო იმ დროს ბერლინში ტორგპრედათ. ამ მუშაობის მთავარი მოტივი გახლდათ მხოლოდ შიში, ვაი თუ გერმანიამ ომი აგვიტეხოსო და რეჟიმი დაგვინგრიოსო. კრემლი მთელ შინაურ და საგარეო პოლიტიკას აწარმოებს ბოლშევიკური რეჟიმის შეჩინის თვალსაზრისით. ეს ცნობილია. 1937 წ. პირველ ნახევარში ეს მოლაპარაკება მივიდა შეთანხმებამდე. აი შეთანხმების მუხლები:

1. რუსეთი შორდება დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს და უადის ერთა ლიგიდან.
2. რუსეთი უარს ამბობს საფრანგეთთან ყოველივე კავშირზე.
3. თუ ომი მოუხდა გერმანიას ვინმე მეზობელთან რუსეთი რჩება ნეიტრალური.
4. გერმანია სდებს რუსეთთან თავსდაუსხმელობის ხელშეკრულებას დიდი ხნით.
5. გერმანია თავის თავზე იღებს მთავრობის რუსეთი და იაპონია.
6. მყარდება ეკონომიური თანამშრომლობა; გერმანია დებს დიდ კაპიტალს რუსეთის წარმოებაში.
7. გერმანიას ენიჭება უფლება გამოანახოს ახალი მადნები რუსეთში და შეუდგეს მათ დამუშავებას მოსკოვთან ერთად; განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ჭიათურის მარგანცის დამუშავებას, რასაც ტვირთულობს გერმანია.
8. გერმანია იღებს რუსეთიდან მისთვის საქირო რკინას და სხ. და სხ.

ყველა ამასან ერთად გერმანია სდებს პირობას რომ ის არ ერევა რუსეთის შინაურ საქმეებში; ასე-



თსავე პირობას სდებს მოსკოვი გერმანიის მიმართ. ეს პირობა წარედგინა ერთ და იმავე დროს სტალინის და ჰიტლერის დასამტკიცებლათ; სტალინმა მაშინვე დაამტკიცა, ხლოვ ჰიტლერმა დაამტკიცა შემდეგი პირობით: ის მას ღებულობს იმ შემთხვევაში თუ სტალინი არ იქნება მთავრობის მეთაური და ხელისუფლება გადავა სამხედრო შტაბის ხელში. ტუხაჩევსკიმ გაცნო ეს პირობა თავის ამხანაგთ გამარნიკს და სხვებს. ამათ ამცნეს გერმანელთ, რომ სტალინის ვადაგდება ნიშნავს ახალ რევოლიუციას, რასაც მოყვება ანარქია და განაპირა ქვეყნების ჩამოშორება რუსეთიდან. პასუხათ გერმანელებმა ამცნეს, რომ გერმანიას აინტერესებს მხოლოდ დიდი განუყოფელი რუსეთი და ამიტომ მხათ არიან დაიცვან მისი დღევანდელი საზღვრები. თუ საუპირო იქნება გერმანია დაეხმარება თავისი სამხედრო ძალებით მოსკოვის ახალ მთავრობას და ყველა აჯანყებას ჩაქრობს. ასეთი კატეგორიული პასუხის შემდეგ ტუხაჩევსკიმ მიიღო წინადადება და გამარნიკთან ერთად შეუდგა შეთქმულობის მოწყობას. ყველაფერი იყო მხათ ვადატრიალებისათვის, მაგრამ მაინც შიშობდნენ უეცრათ სტალინის შეცვლა ტუხაჩევსკით გამოიწვევს კომუნისტების აჯანყებას და ვადასწყვიტეს ახალი მთავრობის მეთაური პირველ ხანებში მაინც ისევ ცნობილი კომუნისტი იყოლონ. ასეთ პირათ დასახეს ვოროშილოვი. ამიტომ მას გაანდევს ეს საიოუმლოება; ის შევიდა შეთქმულობაში, მაგრამ უკანასკნელ წუთში შეშინდა, გაიქცა კრემლში და ყოველივე უამბო სტალინს. შედეგები იცით, შეთქმულნი დაისაჯენ.

ასეთია დღევანდელი ხელშეკრულობის წინა ისტორია. ცხადია ჰიტლერი დღეს ენდობა სტალინს და ამიტომ შესაძლებელი ვახდა მათი დაახლოება. მოსალოდნელია დიდი ამბები.

29 აგვისტო 1939 წ.

აჯანყების 15 წლის თავი

ამ 15 წლის წინ ქართველმა ხალხმა საქართველოს საზღვრებიდან უცხო ძალის გასანდევნათ იარაღს მიმართა. და ეს არა იმიტომ, რომ იარაღის ხმარება და სისხლის დაღვრა მისი პრინციპი იყო, არამედ მიტომ, რომ სხვა საშუალება და გამოსავალი მას არ ჰქონდა.

ჩვენი ქვეყნის წითელი ჯარების მიერ ოკუპაციის ორი თვის შემდეგ საქართველოს ერთი უმთავრესი პოლიტიკური პარტია—სოც. დემოკრატია აცხადებდა, რომ გაბატონებულ ხელისუფლებას ის სთვლიდა, როგორც გარედან ძალით შემოტანილს, მაგრამ მხად იყო ერის ინტერესებისათვის მას მუშაობა ეწარმოებია კულტურულ და ეკონომიურ სფეროებში ორი აუცილებელი პირობით: 1) ქართველ ერს შერჩენოდა დამოუკიდებლობა ე. ი. უცხო ჯარები საქართველოდან გაყვანილი ყოფილიყო და 2) საქართველოში მომხდარიყო თავისუფალი არჩევნები მშრომელი ხალხისა და ამ არჩევნებისათვის კონტროლი და ზედამხედველობა გაეწია დასავლეთ

ევროპის მუშათა მოძრაობის წარმომადგენლების შერეულ კომისიას. პარტია ამბობდა, რომ იდგა იდგურ ლეგალურ მოღვაწეობის ნიადაგზე და ვადატრით აფრთხილებდა თანამგრძობთ და მთელ ხალხს შეიარაღებულ გამოსვლებისაგან.

ბოლშევიკებმა ამ განცხადებას ყური არ ათხლევს, მას ანგარიში არ გაუწიეს. ცხადია ეშინოდათ, რომ თავისუფალი არჩევნებით მათ ბარგი აეკრებოდათ და საქართველოში არავითარი გასავალი აღარ ექნებოდათ. ძალით შემოვიდნენ ქვეყანაში და გაბატონებულ მდგომარეობის შერჩენას ძალითვე ფიქრობდნენ. და ის იყო, რომ მალე საპროვაციაო ბოძა ვადაისროლეს და ამას კი საშინელი რეპრეზიები მოაყოლეს. დევნა, წამება, დატუსაღება, ვადასახლება და ხვრეტა ამ დროიდან აღარ შეჩერებულა.

ქართველი ხალხის წინაშე დადგა დილემა—ან ლაჩრულად ქედის მოხრა და სიკვდილი, ან და იარაღით ხელში ბოროტების წინააღმდეგ შებრძოლება. მან ეს უკანასკნელი აირჩია, ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი სახელოვანი არჩია.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამართულ ბრძოლაში ქართველი ხალხი მარტოდ დარჩა, მას არ გამოეყომაგენ არც მისი მეზობლები და არც საბჭოთა კავშირის ფარგლებში მყოფი სხვა ჩაგრული ერი. და ეს რომ ასე იქნებოდა, ესეც მან ძლიერ კარგად იცოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მან თავი მაინც ვერ შეიკავა და ვადაფრებული ბრძოლაზე წავიდა.

ამ შეტაკებაში აჯანყება დამარცხდა. მოსკოვმა მის პროვოკაციულ მიზნებს მიადწია და ქართველ ხალხზე ჟინი იყარა, ის მისი სისხლით გაძლა.

შეიძლება ვინმეც სთქვას, რომ ქართველი მებრძოლი იმაში არიან სასაყვედურო, რომ ისინი ასეთ უთანასწორო ბრძოლაში ჩაებენ, არსებული მდგომარეობა შესაფერისად ვერ შეაფასეს, დიდ რუსეთს შებრძოლენ, ამ ბრძოლაში მარტოდ დარჩენ და დამარცხდენ.

მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში აჯანყებებს საქართველო ხომ დიდი რუსეთის წინააღმდეგ აწარმოებდა მარტოდ და სხვების დაუხმარებლად.

1830 და 1863 წლებში პოლონეთი აუჯანყდა დიდ რუსეთს და ამ აჯანყებებში ის იყო მარტოდ და მას არავინ ეხმარებოდა.

უნგრეთს და იტალიას ავსტრიის წინააღმდეგ, ბალკანეთის ქვეყნებს ოსმალეთის ბატონობისაგან თავის გასანთავისუფლებლად ხშირად მოუწყვიათ აჯანყებები, რომელშიდაც მათ სხვისი დახმარების იმედი არ ჰქონიათ.

ელისაბედის მეფობის დროს ირლანდია სამჯერ აუჯანყდა ინგლისს; 1847-1848 წლებში საშინელი შიმშილის და ფიზიკური დაუსუსტების მიუხედავად მან იარაღი აისხა; 1916 წელს, დიდი ომის დროს კი მან საბედისწერო ნაბიჯი ვადადგა და მხოლოდ რამოდენიმე ათასი კაცის ამარა დიდ ინგლისს შებრძოლა. და ყოველთვის ირლანდია ყველა ამ ბრძოლებს მარტოდ და სხვების დაუხმარებლად აწარმოებდა.

ყველა ეს ისტორიული მაგალითები გვასწავ-



ლის, რომ ხშირად ბრძოლის არ მიღება და მტერთან არ შებრძოლება შეუძლებელი ხდება.

მაგრამ ისტორია აგრეთვე გვასწავლის იმასაც, რომ თუ ჩაგრულნი ხშირად აგებდნენ ბრძოლას, წარმოებულნი ბრძოლები ერს მანაც ამაგრებდა და აკაყუებდა, ერფენულ გმირთა მაგალითებით. მათი სახელის და საქმიანობის მოგონებებით ის ცოცხლობდა, გაქვირებაშიდაც სულით არ ეცემოდა და მომავალს იმედით შეჰყურებდა.

ვარიბაშლის, კოშუტის, კოსიუშკოს, მიტჩელის, კონოლის და სხვა ბევრ გმირთა ხსოვნა ევროპის ჩაგრულ და მებრძოლ ერთათვის წარუხტოვლი ყოფილა და ასეთი ხსოვნა მათ მიერ დასახული მიზნების განხორციელებას დიდად ხელს უწყობდა.

ქართველი ერის აჯანყების წინ წარმოებულ ბრძოლებში, თუ თვით აჯანყების დროს, რამდენი ქართველი კაცი თავისი გაბედულობით, სულიერი და მორალური სიძლიერით და სიმტკიცით გამხდა, რა გმირი.

მოიგონეთ ნოე ხომერკი, რომელიც შავი ზღვის აზვირთებულ ტალღებს არ ებუებოდა და უბრალო პატარა ნავით საქართველოში მიდიოდა; ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც მიუხედავად მისი ფილტვებით ავათმყოფობისა და მუდმივი დიდი სიცხისა, საქართველოდან მოთხოვნის თანახმად, თავის მოვალეობის მოსახდელად სამშობლოში სიხარულით მიემგზავრებოდა; ვალორა ჯუღელი, რომელიც, ხალხისათვის რომ ხიფათი აეცოინა, ბოლშევიკურ ხელისუფლებიდან ითხოვა—მას საშუალება მისცემოდა მებრძოლნი გაეფრთხილებია და შემდეგ კი სიკვდილის რა ფორმიდაც უნდოდათ დაესაჯათ; აჯანყების წინა ხანებში დახვრეტილი გენერლები, რომელნიც დახვრეტის წინ მტრებს მედგრად უტევდნენ და თავი ამაყად ეჭირათ; დამკომის თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილი და მისი ყველა წევრები, რომელნიც დამკომის გასამართლებისას უმაღლესი სასჯელის გამოტანის საშიშროების წინაშე სიკვდილი თვალეში მამაცურად უტყქროდნენ.

შეადარეთ ამ მებრძოლთა საქციელი და გმირობა იმას, რაც ხდებოდა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში რუსეთში, სადაც ძველი რევოლიუციონერები ხელს იღებდნენ თავიანთ იდეებზე, აფურთხებდნენ თავიანთ წარსულს და მორალურად თავს ინადგურებდნენ, და თქვენ დაინახავთ უდიდეს განსხვავებას ამ ორ საქციელ და მოქმედებას შორის.

ჟეშმარიტად, ქართველ ხალხს ამ მხრივ მართლაც ბევრი საბაყრა რამ აქვს!

1924 წლის აჯანყებაში ქართველმა ხალხმა ხუთი ათასამდე მებრძოლი დაჰკარგა. ამ 15 წლის თავზე ბრძოლაში ამ დაღუპულთ მოიგონებენ არა მხოლოდ მათი ოჯახები და ათეული ათასები მათი ნაცნობ-მეგობრებისა, არამედ მათ დღეს მოაწიწებით და თავყანისცემით იგონებს აგრეთვე მთელი მებრძოლი ქართველი ერი.

1924 წლის აჯანყებულთა ანდერძი—თავისუფალი საქართველო—ყველა ქართველთათვის სავალდებულო და გარდაუვალი ანდერძია.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პაქტი

რუსეთ-გერმანიის პაქტმა საერთაშორისო მუშათა წრეებში უდიდესი გულისწყრომა და აღელვება გამოიწვია. განსაკუთრებით ღრმა ეს აღელვება საფრანგეთის მუშათა კლასის რიგებში.

საფრანგეთში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი აგიტაცია და პროპაგანდა სწარმოებდა კომუნისტებთან ერთი ფრონტის შექმნის და საფრანგეთ-საბჭოთა რუსეთის ერთმანეთთან დაახლოების საქიროების შესახებ. ამ ერთ ფრონტს და მოსკოვთან დაკავშირების იდეას დამცველები ჰყავდა არა მხოლოდ კომუნისტთა შორის, არამედ არაკომუნისტურ წრეებშიდაც. ესლა რუსეთ-გერმანიის პაქტით მდგომარეობა სრულიად შეიცვალა.

რუსეთ-გერმანიის პაქტის დადების მეორე დღესვე სენის დეპარტამენტის სოციალისტურ ფედერაციამ საფრანგეთის მუშათა კლასს მიმართა მოწოდებით, რომელშიდაც ის სასტიკად გამოხს საბჭოთა მთავრობის პიტლერთან დამშობილებას, რითაც ევროპის მშვიდობიანობის და თავისუფლების საქმე საფრთხეში ვარდება. ეს მოწოდება მიმართულია აგრეთვე კომუნისტ მუშებისადმი, რომელთაც მოუწოდებენ ხმა აღიმადლონ მოსკოვის მთავრობის ლალატის წინააღმდეგ და აიძულონ მათი ხელმძღვანელები გაიმიჯნონ რუსეთ გერმანიის პაქტიდან.

ამ პაქტის საწინააღმდეგო და გასაპიცხავი რეზოლიუციები და დადგენილებები იქნა მიღებული აგრეთვე საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს, საპარლამენტო ფრაქციის და შრომის კონფედერაციის ბიუროს და ადმინისტრაციული კომისიის მიერ.

ასეთივე საპროტესტო დადგენილება გამოიტანა 26 აგვისტოს თავის არაჩვეულებრივ სხდომაზე პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო ფედერაციამ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ მასიური პროტესტები დაიწყო ფრანგ პროფესიონალური კავშირების წევრთა შორის და უმთავრესად იქ, სადაც კომუნისტურ პარტიას ეჭირა ხელმძღვანელი როლი. ყოველგან იქ მხარს უჭერენ შრომის კონფედერაციის ბიუროს საპროტესტო დადგენილებას და აცხადებენ, რომ, ვინც ამ დადგენილებას თავისათ არ გაიხდის, ის პროფესიონალური ორგანიზაციის გარეშე რჩება.

ბელგიაში, მუშათა პარტიის, როგორც ცენტრალური ორგანომ, ისე ყველა მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სასტიკად დაგმეს ორპირი და ვერაგული პოლიტიკა მოსკოვის მთავრობისა. და მოითხოვენ—შეწყდეს ყოველივე კავშირი სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიების და მათ წევრთა შორის.

ასეთივე სიმკაცრით შეაფასა ეს პაქტი ბელგიის პროფესიონალური კავშირების ნაციონალურმა საბჭომ.

რუსეთ-გერმანიის პაქტი ერთსულოვანად დაგმობილი იქნა ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, იტა-

ლიის და შვეიცარიის სოციალისტური პარტიების მიერ.

ქენევის სოციალისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნიკოლი, რომელიც რუსეთ-გერმანიის პაქტს თანაგრძნობით შეხვდა, შვეიცარიის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით პარტიიდან გარიცხულ იქნა.

პაქტის მესახებ ბევრი დაიწერა და ის სათანადოდ დაგმობილ იქნა აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნების, ამერიკის და ინგლისის დომინიონთა სოციალისტების მიერ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საზღვარ გარეთელ ბიურომ სოციალისტურ ინტერნაციონალს და მის მთავარ სექციებს I სექტემბერს შემდეგი თავისი დადგენილება გაუგზავნა:

ამ ოცი უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროს არა ერთხელ გაუკეთებია განცხადებები სოციალისტურ ინტერნაციონალში, თუ დაუწერია თავის პრესაში, რომ საბჭოთა მთავრობა მშვიდობიანობის, დემოკრატიის და სოციალიზმის სასტიკი მტერია და ის უდარაჯებს საერთაშორისო ომს, რათა დაამყაროს თავისი ბარბაროსული დიქტატურა ყველა ერებზე.

ესლა რუსეთ-გერმანიის პაქტით მოსკოვს უნდა მიღწიოს თავის მიზანს. მან წააქეზა გერმანია გამოეწვია ევროპის ომი, და არა თუ ხელი შეუწყო აგრესორს პოლონეთს შესეოდა, არამედ ორი დიქტატურის თანამშრომლობით მან უდიდეს ხიფათში ჩაავლო ყველა თავისუფალ, თუ ჩაგრულ ერთა მომავალი.

საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიის საზღვარ-გარეთელი ბიურო მოუწოდებს სოციალისტურ ინტერნაციონალს და ყველა მის სექციებს დაგმონ საბჭოთა მთავრობის ორპირობა და ვერაგობა და სასტიკი ბრძოლა აწარმოვონ აგრესორის, კომინტერნის და საბჭოთა კავშირის ხალხებზე მოსკოვის მთავრობის ბატონობის წინააღმდეგ.

სოციალისტური ინტერნაციონალი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიურომ 21 სექტემბერს მიმართა სოციალისტურ ინტერნაციონალს წერილით, რომელშიდაც ის გაკვირვებას გამოსთქვამს, რომ მიუხედავად ევროპაში საომარი მოქმედების წარმოებისა და საერთაშორისო მდგომარეობის გართულებისა, ინტერნაციონალის ეკზეკუტივი დღემდის არ შეკრებილა, დღევანდელი ამბების შესახებ თავისი აზრი არ გამოუთქვამს და შესაფერისი დადგენილება არ გამოუტანია.

ბიურო მოითხოვს სეკრეტარიატისაგან დაჩქარებით მოწვეულ იქნას ეკზეკუტივის სხდომა და მის დღის წესრიგში მთავარ საკითხათ დაისვას—საერთაშორისო მდგომარეობა.

წამილი ვენბერიდან

ერთი ახალგაზდა ქართველი, რომელიც მსახურებდა პოლონეთის ჯარში, ვენბერიდან იწერება 23 სექტემბრის თარიღით შემდეგს:

როგორც იყო მომეცა საშუალება მოვწეროთ, რომ კარგათ ვარ. აქამდის სრულიად შეუძლებელი იყო რამის მოწერა, რადგან ჩვენი ჯარის სამოქმედო რაიონში ფოსტა არ მოქმედებდა. მე ვირიცხებოდი ჯარის იმ ნაწილში, რომელიც შეიცავდა ფრონტის სამხრეთ ფრთას. ვიყავით სლოვაკიის ახლოს. ჩვენი ჯარი დამარცხდა და სავსებით დაიქსაქსა ორკვირაში. იმ დროს როცა მდგომარეობა გამოკეთდა ლოვინის ახლო-მახლო, საბჭოებმა დაგვარტყეს უკანიდან და ჩვენი ძალების კონცენტრაცია გახდა შეუძლებელი. სამხრეთის ფრონტის უდიდესი ნაწილი გადავიდა რუმინიაში; მე კი რამდენიმე ათასი ჯარისკაცით გადავედით ვენბერიაში. რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა რუსის ჯარი და დაიჭირა საზღვარი. ვენბერიელები შეგვხვდნენ ძლიერ კარგათ და დიდი სტუმართმოყვარეობით. ჩვენ ვგვეართ უფრო სტუმრებს, ვინემ სამხედრო ტყვეებს. არაფერი არ გვაკლია, არც ტანისამოსი, არც საჭმელი. ორი დღეა აქ ვართ, ჩქარა სხვაგან გადავიყვანენ და იქიდან მოვიწერები.

ო ტ ტ ო ვ ე ლ ს ი

16 სექტემბერს, პარიზის ახლო, შატენეში, გადაიცვალა ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი ოტტო ველსი.

ველსი იყო მუშათა წრიდან. ის ეკუთვნოდა იმ ბრწყინვალე პლედას გერმანიის მუშათა ჯგუფისას, რომელიც დაბალი საფეხურიდან იმდენად ამაღლდა, რომ თავის ქვეყნის უდიდესი გართულების დროს, სათავეში მოექცა ქვეყნის მართვა-გამგეობას და მთელი სიძნელე «გარდამავალი ხანისა» ასეთი სიმაძაცით და მხნეობით გადაიტანა.

1912 წ. ველსი არჩეულ იქნა რეისხტაგის დეპუტატად, 1913 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1918 წლის რევოლუციის შემდეგ მის თავმჯდომარედ და პარტიის წარმომადგენელად სოციალისტურ ინტერნაციონალში. ველსი იყო უდიდესი მოწინააღმდეგე გიტლერის, რომლის წინააღმდეგ მან მამაცურად გაილაშქრა 1933 წელს რეისხტაგში. გიტლერის მიერ სოციალ-დემოკრატიული პარტიის აკრძალვის შემდეგ ველსი იძულებული იყო გერმანიიდან გაქეუულიყო და შეფარებოდა ჩეხოსლოვაკიას, რომლის დაპყრობის ცოტა ხნით ადრე—ის გადმოასახლდა პარიზში და უკანასკნელ წუთებამდე გიტლერის უსასტიკეს მოწინააღმდეგედ დარჩა.

21 სექტემბერს პერლიანოვის კრემატორიუმში მისი სხეული დასწვეს. სამგლოვიარო პროცესიას დაესწრენ სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური პარტიების წარმომადგენელნი. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს ინტერნაციონალის სახელით ამხ. ლ. ბლუმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტ. კომიტეტის სახელით ამხ. ფოგელმა.